ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3147737

ნომერი: AR1482566

თარიღი : 28.02.2017

გაცემის თარიღი : 14.03.2017

გაცნობის თარიღი : 14.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა/ ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებლი , მიმდებარედ , ტრამვაის გაუქმებული , ხაზის მიმდებარედ , (ნაკვეთი N10/4) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი კარტოზია პ/ნ 01008053626
- თბილისი ბ.შოშიტაიშვილის ქ. N 6 ბ. 4

ნომენკლატურა :

- სწრაფი კვება
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სწრაფი კვების ობიექტი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით შველიძე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების

რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

იმისთვის, რომ სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, საჭიროა წარმოადგინოთ არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოებზე დამუშვებული ფასადები მაღალი ხარისხის კომპიუტერული ვიზუალიზაციის სახით, ასევე ფოტოსურათები და ფოტომონტაჟები, მოსაპირკეთებელი მასალების დეტალური განსაზღვრით.
ამასთან გაცნობებთ, თქვენ მიერ არასწორად მოხდა ნომენკლატურის არჩევა, კერძოდ, ვინაიდან საპროექტო ობიექტი მიღებულია ექსპლუატაციაში, საჭიროა, ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების უფლებით და საკითხი დააყენოთ შესაბამისი ნომენკლატურის არჩევით არა შეთანხმებული პროექტის ცვლილების, არამედ მიშენება-დაშენების ესკიზის წინასწარ შეთანხმებაზე.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.